განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“

## თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №9

30 ნოემბერი, 2011
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

| თარიღი | ადგილი | დასაწყისი | დასასრული |
|---|---|---|---|
| 30 ნოემბერი, 2011 | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | 17:30 | 18:00 |

| დღის წესრიგი |
|---|
| 1. დღის წესრიგის განხილვა |
| 2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება |
| 3. აშშ საზოგადოებრივ კოლეჯებში საქართველოს პროფესიული განათლების წარმომადგენელთა სასწავლო ტურის შედეგების პრეზენტაცია. სავარაუდო თემატიკა:<br>• სტრატეგიული დაგეგმარება, აკრედიტაცია და სამუშაოს კარგად შესრულების ხელოვნება<br>• თანამშრომლების კვალიფიკაციის, დასაქმების, სასწავლებლის საფასურის სტრუქტურა და პრაქტიკული სამუშაოების მიმოხილვა<br>• სამუშაო ბაზრისა და ტენდენციების შეფასება |

| მონაწილეები | | | |
|---|---|---|---|
| **სახელი, გვარი** | **დაწესებულება, თანამდებობა** | **ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი** | **სტატუსი** |
| მარინა ჟვანია | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი | marina.zhvania@eqe.ge<br>marina.zhvania@gmail.com<br>577 27 88 41 | წევრი |
| გია ტარიელაძე | სსიპ-განათლების ხარის ხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე | tarieladze@eqe.ge<br><br>577 17 33 07 | წევრი |
| კოტე ჩოკორაია | სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციის | kote.chokoraia@eqe.ge<br><br>577 27 88 83 | მონაწილე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სამმართველოს უფროსი | | |
| ქეთევან ფანჩულიძე | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი | k.panchulidze@eqe.ge<br><br>577 27 88 43 | წევრი |
| ნანი დალაქიშვილი | სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი | nani.dalakishvili@eqe.ge<br>nanidalakishvili@yahoo.com<br><br>577 17 55 77 | წევრი |
| ლალი ღოღელიანი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი | lali_gtu@gtu.ge<br><br>599 70 44 99 | წევრი |
| მამუკა ჯანჯალია | თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი ”აიტი”/დირექტორი | m.janjalia@itvet.ge<br><br>577131222 | წევრი |
| ლელა წიფურია | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი | lelatsiphuria@yahoo.com<br><br>599 65 49 80 | წევრი |
| კახა ჭელიძე | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/ფაკულტეტის დეკანი | Kakha65@yahoo.com<br><br>577 445 540 | წევრი |
| დავით აბულაძე | საქართველოს არქიტექტორთა კავშირი/არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე | devidabuladze@yahoo.com<br><br>59950 09 48 | წევრი |
| მათე ტაკიძე | თბილისის ტურიზმის პროფესიული კოლეჯი იკაროსი“, დირექტორი | takidze@rambler.ru<br>577768866 | მონაწილე |

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმის (ოქმი №8. 8.11.2011) დამტკიცება**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - **ოქმი თან ერთვის**

**3. აშშ საზოგადოებრივ კოლეჯებში საქართველოს პროფესიული განათლების წარმომადგენელთა სასწავლო ტურის შედეგების პრეზენტაცია.**

კოტე ჩოკორაიამ დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სექტემბერ-ოქტომბერში აშშ საზოგადოებრივ კოლეჯების გასაცნობად მოეწყო საქართველოს პროფესიული განათლების წარმომადგენელთა სასწავლო ტური, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიული კოლეჯების დირექტორები, დამსაქმებელთა ასოციაციისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, ტურმა საინტერესოდ ჩაიარა, ჯგუფმა მოინახულა შემდეგი დაწესებულებები:

- დუპეიჯის ტექნოლოგიური ცენტრი
  (Technology Center of DuPage (TCD))
- დევრის უნივერსიტეტი (DeVry University)
- ოქტონის საზოგადოებრივი კოლეჯი
- შტატ ილინოისის საგანმანათლებლო საბჭო (ISBE)
- ჩრდილოდასავლეთის ჯანდაცვისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი
- ნაციონალური ლუის უნივერსიტეტი (NLU)
- ილინოისის საზოგადოებრივი კოლეჯის საბჭო(ICCB)
- დუპეიჯის კოლეჯი (COD)
- ჯგუფი მენფაუერი

შეხვედრებზე იხილებოდა შემდეგი ძირითადი თემები:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროფესიულ განათლებაში
- პროფესიული დაწესებულებების სტრუქტურა

- სტუდენტების შეფასების ხერხები
- მასწავლებელთა ტრეინინგი და ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში
- აკრედიტაცია და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სამუშაო ბაზრისა და ტენდენციების შეფასება
- კარიერის შერჩევა, სამუშაო ბაზრის მოთხოვნების და ტენდენციების კვლევა
- მომხმარებლის დაცვის მექანიზმი
- კანონმდებლობის მიმოხილვა
- მიმდინარე ინსპექტირება და მონიტორინგი კერძო და პროფესიული განათლების დაწესებულებებში
- სტუდენტების დაფინანსების პრობლემები
- კარიერისათვის მზადება და დასაქმება
- პროფესიული გადამზადება
- სამუშაო ბაზრის კვლევა
- კანონმდებლობის მიმოხილვა
- პროფესიული დაწესებულებებისა და უმაღლესი დაწესებულებების ურთიერთობების საკითხები

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში საზოგადოებრივი/სათემო კოლეჯების სისტემა დიდი ტრადიციების მქონე სისტემაა, აქვს კარგად გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მრავალფეროვანი პროგრამები, დაფინანსება ხორციელდება როგორც ფედერალური, ასევე შტატის და ადგილობრივი/თემის ბიუჯეტებიდან, კოლეჯების ფუნქციონირებაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი ხელისუფლება და დამსაქმებლები. ყველა საკითხი, რაც შეხვედრებზე იხილებოდა, გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დღევანდელი საქმიანობიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი კოლეჯების პროგრამა - ლიბერალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მსგავსი არის ამერიკულ კოლეჯებშიც, ეს არის 2 წლიანი აკადემიური/ასოცირებული ხარისხის პროგრამები, რისი აღიარებაც ხდება უმაღლეს დაწესებულებებში. ასევე ინტერესის თემა იყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების მოდელი, კერძოდ ის კომპონენტები, რომლისგანაც შედგება მასწავლებლის ხელფასი:

- პროფესიით მუშაობის გამოცდილება;
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + პროფესიული კვალიფიკაცია
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + ბაკალავრის ხარისხი
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + მაგისტრის ხარისხი
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + დოქტორის ხარისხი
- პროფესიით მუშაობის ყოველი ათწლიანი გამოცდილება დამატებითი ანაზღაურების გაცემის საფუძველია

**(სრული პრეზენტაცია თან ერთვის).**

<u>შენიშვნები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს:

დავით აბულაძემ, ლალი ღოღელიანმა, მათე ტაკიძემ, ლელა წიფურიამ, რომელთაც გარკვეული შეხება თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ჰქონდათ ამერიკულ საზოგადოებრივ/სათემო კოლეჯებთან. აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკული კოლეჯების გამოცდილება პროგრამების მრავალფეროვნების თვალსაზრისით, რომელთა შეთავაზება შეუძლია კოლეჯს სტუდენტებისათვის, რისი შესაძლებლობაც ამ ეტაპზე ნაკლებად აქვს ჩვენს საზოგადოებრივ კოლეჯებს, ასევე დადებით გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს სატრენინგო პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები.

<u>დასკვნები და მოქმედებები:</u>

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და შემდგომში ამ გამოცდილების ადაპტირება ქართულ სინამდვილეში.

დანართი 1


OPEN WORLD
LEADERSHIP CENTER
პროგრამა ღია სამყარო
საკითხი: განათლება - საზოგადოებრივი კოლეჯები


2011 წლის 21 სექტემბრს - 2 ოქტომბერს
ამერიკის შეერთებული შტატებში ვიზიტით იმყოფებოდა ქართული
დელეგაცია, რომელიც ადგილზე გაეცნო საზოგადოებრივი კოლეჯების
საქმიანობის სპეციპიკასა და პროფესიული განათლებისათვის
მნიშვნელოვან სხვადასხვა დეტალებს.
მონაწილეები: კაკუტია თამარი
კორძახია მიშა
ტაკიძე როინ
ტარიელაძე გია
ჩოკორაია კონსტანტინე

## პროგრამის შესახებ:

- **პროგრამის ადმინისტრატორი: ამერიკის პროგრამების საერთაშორისო საბჭო**

- **ჩიკაგოს საერთაშორისო პროგრამების საბჭო** ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამას, რომლის ფარგლებში მას ჩამოყავს შეერთებულ შტატებში სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. პროგრამის ფარგლებში ვიზიტორებს აქვთ საშუალება შეხვდნენ კოლეგებს შესაბამის სფეროში, მიიღონ მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში და შეისწავლონ ამერიკული ცხოვრებისა და საზოგადოების კონცეფცია. ჩვენი პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო მრავალი ქვეყნისათვის საჭირო ტრეინინგს, არამედ ასევე ხელს უყწობს იდეების გაცვლას და ეწევა ტოლერანტობისა და მშვიდობის პროპაგანდას.

- **პროგრამის ზოგადი მიმოხილვა**
  შეერთებული შტატების მასშტაბით ილინოისის შტატს აქვს მესამე ყველაზე დიდი საზოგადოებრივი კოლეჯების სისტემა. ილინოისის შტატში დაიბადა საზოგადოებრივი კოლეჯი - ჯოლიეტ ჯუნიორის კოლეჯი იქნა საარსებული დოქტორ ჰარპერის მიერ.. საზოგადოებრივი კოლეჯები უზრუნვეყოფენ ისეთი ონოვაციური პროგრამების შექმნას, რომელიც შეესაბამება ლოკალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

### შეხვედრების ადგილი

- ჩრდილოდასავლეთის ჯანდაცვისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი
- **ნაციონალური ლუის უნივერსიტეტი (NLU)**
- **ილინოისის საზოგადოებრივი კოლეჯის საბჭო(ICCB)**
- **დუპეიჯის კოლეჯი (COD)**
- ჯგუფი მენფაუერი



## განხილული თემები:

- პროფესიული დაწესებულებების სტრუქტურა
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროფესიულ განათლებაში
- სტუდენტების შეფასების მეთოდები
- მასწავლებელთა ტრეინინგი და ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში
- აკრედიტაცია და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები



## განხილული თემები:

- სამუშაო ბაზრისა და ტენდენციების შეფასება
- კარიერის შერჩევა, სამუშაო ბაზრის მოთხოვნების და ტენდენციების კვლევა
- მომხმარებლის დაცვის მექანიზმი
- კანონმდებლობის მიმოხილვა
- მიმდინარე ინსპექტირება და მონიტორინგი კერძო და პროფესიული განათლების დაწესებულებებში



## განხილული თემები:

- სტუდენტების დაფინანსების პრობლემები
- კარიერისათვის მზადება და დასაქმება
- პროფესიული გადამზადება
- სამუშაო ბაზრის კვლევა
- კანონმდებლობის მიმოხილვა
- პროფესიული დაწესებულებებისა და უმაღლესი დაწესებულებების ურთიერთობების საკითხები



## აკადემირი პროგრამების განხორციელება საზოგადოებრივ კოლეჯებში

- საზოგადოებრივი კოლეჯების მიერ განხორციელეებული პროგრამები:

ა)პროფესიული პროგრამები;

ბ) პროფესიული ტრეინინგები;

გ) აკადემიური პროგრამები (2 წელი, რისი აღიარებაც შემდგომში ხდება უმაღლეს დაწესებულებებში) - აღნიშნული მოდელი შეიძლება დავაკავშიროთ ლიბერალურ საგანმანათლებლო პროგრამებთან

## პედაგოგთა ანაზღაურების განსაზრვრა

- პროფესიით მუშაობის გამოცდილება;
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + პროფესიული კვალიფიკაცია
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + ბაკალავრის ხარისხი
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + მაგისტრის ხარისხი
- პროფესიით მუშაობის გამოცდილება + დოქტორის ხარისხი
- პროფესიით მუშაობის ყოველი ათწლიანი გამოცდილება დამატებითი ანაზღაურების გაცემის საფუძველია

## ამერიკული გამოცდილება და მისი გაზიარება საქართველოში

- ლიბერალური საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება საზოგადოებრივ კოლეჯებში
- პედაგოგთა პროფესიული გადამზადება
- პედაგოგთა ანაზღაურების განსაზრვრა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა
- მატერიალური ბაზის გაუმჯობესება